

საერთო პრობემის დანართ N23 - ანგარიშთა პაკეტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. შეიცვალოს 11.10.6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ლარში, აშშ დოლარში ან/და ევროში თანხის განაღდება (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში აშშ დოლარისგან და ევროსგან განსხვავებულ, ნებისმიერ სხვა უცხოურ ვალუტაში), ასევე კლიენტის სადებეტო ბარათის მეშვეობით ბანკის ბანკომატიდან ნებისმიერ ვალუტაში თანხის განაღდება, თუ სადებეტო ბარათის საბარათე ანგარიშს წარმოადგენს ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში ლარში, აშშ დოლარში ან ევროში.

შენიშვნა: წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშებისას, მასში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი სახის **ოპერაციების** თანხის მოცულობა, თუმცა აღნიშნული **ოპერაციების** შესრულებისთვის **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **ბანკის** მიერ დაწესებული სტანდარტული **საკომისიო**:

- **Viber** გადარიცხვის **ოპერაცია**;
- გადახდები *hog.pay.ge* საშუალებით.

წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ყოველთვიური, ჯამური თანხის მოცულობის დათვლის პერიოდის ათვლა დაიწყება **ანგარიშთა პაკეტის** აქტივაციის თარიღიდან.

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული **ოპერაცი(ებ)ის** შესრულებისას, ყოველთვიური ჯამური თანხის დაანგარიშების მიზნებისთვის, ვალუტის კონვერტაციის კურსი დაითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, **ოპერაციის** შესრულების თარიღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით; ხოლო ვალუტის კონვერტაცია განხორციელდება **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** დადგენილი კომერციული კურსით;